



„ინკლუზიური დიალოგი – ეფექტური სოციალური პოლიტიკისთვის“

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
სოციალური პოლიტიკის
დოკუმენტი (2020-2024)

წინასიტყვაობა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოციალური პოლიტიკის სტრატეგიას (2020-2024), რომელიც ასახავს მუნიციპალიტეტში სოციალური პროგრამების განხორციელებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით არსებულ ხედვას, მიზნებსა და მიღწევის გზებს.

სტრატეგია წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დოკუმენტს, რომელიც ეფუძნება თემის საჭიროებების კვლევას, რომლის მომზადებაც შესაძლებელი გახდა პროექტის „ინკლუზიური დიალოგი ეფექტური სოციალური პოლიტიკისათვის“ ფარგლებში. პროექტი მიზნად ისახავდა ზესტაფონისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტებში სოციალური მომსახურების მიწოდების სისტემის გაუმჯობესებას და ინკლუზიური თანამშრომლობითა და ადგილობრივ თვითმართველობასთან დიალოგის გზით, უკეთესი და საჭიროებებზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკის შემუშავებას.

ამასთან, დოკუმენტში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის, საკრებულოსა და სოციალური სამსახურის თანამშრომელთა შეხედულებები და დამოკიდებულებები, რომელთა გამოვლენაც მოხდა ადგილზე განხორციელებული სამუშაო შეხვედრების ფარგლებში.

წინამდებარე სოციალური პოლიტიკის დოკუმენტი/სტრატეგია წარმოადგენს „ცოცხალ დოკუმენტს“, რომელიც საჭიროებს განახლებას და ცვლილებების ინტეგრირებას საჭიროებების წარმოქმნის შემთხვევაში.

დოკუმენტი შემუშავდა პროექტის „ინკლუზიური დიალოგი - ეფექტური სოციალური პოლიტიკისათვის“ ფარგლებში, ორგანიზაცია „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის“ (ISC) მიერ. პროექტს ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო (LDA) პარტნიორ ორგანიზაციებთან - ააიპ ქალები რეგიონული განვითარებისთვის და ააიპ პედაგოგთა კავშირი განათლება და სამყარო, ერთად ახორციელებს ზესტაფონისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტში.

შინაარსი

წინასიტყვაობა.....	2
შესავალი	4
არსებული სიტუაციის მიმოხილვა.....	7
SWOT ანალიზი	7
სოციალური პოლიტიკის სტრატეგია (2020-2024).....	8
სოციალური პოლიტიკის ხედვა/მისია	8
სტრატეგიული მიმართულება 1. მუნიციპალური სოციალური პროგრამების განვითარება.....	8
სტრატეგიული მიზანი.....	8
სტრატეგიული ამოცანები	8
სტრატეგიული მიმართულება 2. მუნიციპალური სოციალური პროგრამების ადმინისტრირება	9
სტრატეგიული მიზანი.....	9
სტრატეგიული ამოცანები	9
სტრატეგიული მიმართულება 3. სექტორთა და უწყებათშორისი თანამშრომლობა და კოორდინაცია	9
სტრატეგიული მიზანი.....	9
სტრატეგიული ამოცანები	9
სტრატეგიის შესრულების სამოქმედო გეგმა (2020)	10
დასკვნითი ნაწილი	11

შესავალი

პოლიტიკის დოკუმენტის/სტრატეგიის მომზადება შესაძლებელი გახდა პროექტის „ინკლუზიური დიალოგი ეფექტური სოციალური პოლიტიკისათვის“ ფარგლებში, რომელსაც ევროკავშირის მხარდაჭერით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია “ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო” (LDA) ახორციელებს, ორგანიზაციებთან - “ქალები რეგიონული განვითარებისთვის” და “პედაგოგთა კავშირი განათლება და სამყარო” პარტნიორობით.

წინამდებარე სტრატეგია მოიცავს ანალიტიკურ და სტრატეგიულ ნაწილს, რაც თავისმხრივ წარმოდგენილია ძირითადი მიზნების, ამოცანებისა და სამოქმედო გეგმების სახით.

სტრატეგიის ანალიტიკური ნაწილი მოიცავს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის თემის საჭიროებებისა და შესაძლებლობების თვისებრივი გზით შეფასების შედეგებს, რომელსაც საფუძვლად დაინტერესებულ მხარეებთან ფოკუს ჯგუფები და ოფიციალურად გამოთხოვილი ინფორმაცია დაედო. თემის საჭიროებების შეფასებაში მონაწილეობა მიიღეს თვითმმართველობის სტრუქტურების (საკრებულო, გამგეობა, მერია) წარმომადგენლებმა, თემის ფორმალურმა ლიდერებმა, აქტიურმა მოქალაქეებმა და არსებული პროგრამებით მოსარგებლე პირებმა. ხოლო კვლევისათვის რელევანტური პროგრამული და სტატისტიკური ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა ადგილობრივი მუნიციპალური სამსახურისა და სოციალური მომსახურების სააგენტოდან. აღსანიშნავია, ისიც რომ, ადგილობრივ დონეზე განხორციელებულ იქნა ორდღიანი სამუშაო შეხვედრაც, რომლის მიზანსაც სოციალური სამსახურისა და მერიის თანამშრომელთა ჩართულობით თემისათვის პრიორიტეტული სოციალური პრობლემის გამოვლენა და მათზე საპასუხოდ სოციალური პროგრამის შემუშავება წარმოადგენდა.

წინამდებარე სოციალური პოლიტიკის დოკუმენტი თანხვედრაშია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მთავრობის პოლიტიკაა სოციალური დაცვის სისტემის შექმნით უზრუნველყოს ადამიანთა ღირსეული ცხოვრებისა და შრომის პირობები, შეამციროს მოსახლეობის სიღარიბითა და ხანდაზმულობით გამოწვეული სოციალური რისკები და ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და სხვა მოწყვლად ჯგუფებს, მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

სტრატეგიას დანართის სახით ერთვის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა [2020 წელი], რომელშიც სტრატეგიული მიზნების მიხედვით არის გაწერილი მუნიციპალიტეტის მიერ მომდევნო წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებები.

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახური, მერიის სხვა შესაბამისი სამსახურისა და საკრებულოს აქტიური თანამონაწილეობით.

არსებული სიტუაციის მიმოხილვა

სოციალური მომსახურების სააგენტოს, 2019 წლის აგვისტოს თვის მონაცემებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, რომლის მოსახლეობის საერთო რაოდენობა არის 57.600 პირი, საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობას - 6336, სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობას - 2785, სახელმწიფო პენსიაზე მყოფ პირთა რაოდენობას კი 12966 პირი შეადგენს. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით N37 (2018 წლის 19 დეკემბერი) 2019 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამული ბიუჯეტით განსაზღვრულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულება, რომელიც მოიცავს შემდეგ 2 ძირითად პროგრამას: ზესტაფონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი და სოციალური პროგრამები, რომლის მიმდინარე წლის ჯამური ბიუჯეტია 1.790.600 ლარი. თავის მხრივ, სოციალური პროგრამები ჩაშლილია 14 ქვე-პროგრამად სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის, მათ შორის სოციალურად დაუცველი ოჯახები, შეზღუდული შესაძლებლობისა და ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირები, ძალადობის მსხვერპლები, სტიქიით დაზარალებულები.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 3 წლის განავლობაში არცერთი მუნიციპალური სოციალური პროგრამა არ შეწყვეტილა ანდა პირიქით, არ განვითარებულა ახალი. რაც შეეხება ბიუჯეტს, ამავე პერიოდში, შეინიშნება ბიუჯეტის ზრდა სოციალური დაცვის მიმართულებით, რაც თავის მხრივ წარმოადგენს პოზიტიურ დინამიკას და შეიძლება მივიჩნიოთ მანიშნებლად, რომ სოციალური მიმართულება არის ზესტაფონის მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტული მიმართულება. 2017 წლისთვის, ზესტაფონის სოციალური პროგრამების ბიუჯეტი იყო 1398.500 ლარი, 2018 წლისთვის - 1491.300 ლარი, ხოლო 2019 წლისთვის კი 1769.000 ლარინ. შესაბამისად, 2017 წლიდან დღემდე სოციალური პროგრამების ბიუჯეტი გაიზარდა 370500 ლარით. გაზრდილი ბიუჯეტისა და გაწეული ძალისხმევის მიუხედავად, მუნიციპალიტეტის დონეზე აქტუალურ გადასაჭრელ საკითხებად იკვეთება:

მწვავე სოციალური პრობლემები: სიღარიბე, ისევე როგორც უმუშევრობა არის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა და მრავალგანზომილებიანი ფენომენი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ოჯახების კეთილდღეობის მდგომარეობასა და მათი ცხოვრების ხარისხზე. ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე არსებული სოციალური დახმარებები ძირითადად ფინანსური ხასიათის არის. გამოიკვეთა რომ არ არსებობს დასაქმების და თვითდასაქმების ხელშემწყობი პროგრამები, რომელიც მოსახლეობას სიღარიბიდან თავის დაღწევაში დაეხმარებოდა; იკვეთება, რომ მზარდია იმ ოჯახების რაოდენობა, რომლებიც ითხოვენ თავშესაფრით დაკმაყოფილებას, უსახლკარობისა და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების გამო. ამასთან, განსაკუთრებით საყურადღებოა თავშესაფრის მთხოვნელი ისეთი ოჯახების მდგომარეობა, რომლებიც მოწყვლადობის რამდენიმე კატეგორიაში თავსდებიან მაგ. უსახლკარო და ამავედროულად შშმ პირი ანდა ძალადობის მსხვერპლი. მუნიციპალიტეტი ახორციელებს საცხოვრისის უზრუნველყოფის პროგრამას, თუმცა აღსანიშნავია რომ პროგრამა საჭიროებს გადახედვას და მოდიფიცირებას, რათა მან უკეთ უპასუხოს ამ კუთხით არსებულ გამოწვევას;

მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობა: შშმ პირების, ხანდაზმულებისა და ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების ზრუნვასთან დაკავშირებული საკითხები - ჩამოთვლილი სამიზნე ჯგუფების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ ფუნქციონირებენ და აქვთ მუდმივი ანდა დროებით ზრუნვის/მოვლის საჭიროება უმეტესწილად არ მიუწვდებათ ხელი ღირსეულ ზრუნვაზე, მსგავსი მომსახურების არარსებობის გამო. შესაბამისი საჭიროების მქონე ჯგუფებისთვის შინ მოვლის/ოჯახის ასისტენტის პროგრამების არარსებობა უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს. ქალების, ახალგაზრდებისა და ბავშვთა სპეციფიური მდგომარეობა - საჭიროებათა შეფასების შედეგად ვლინდება, რომ თემში მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე დგანან მრავალშილიანი ოჯახები და მარტოხელა მშობლები, რომლებსაც ერთი მხრივ ბავშვებზე ზრუნვის გამო უჭირთ დასაქმება და მეორე მხრივ, საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებაშიც არ ჰყოფნიან სახელწიფოსგან მიღებული დახმარებები. ამ მიმართულებით განსაკუთრებით პრობლემურია - ოჯახის მხარდამჭერი და პრევენციული მომსახურებების არარსებობა.

მუნიციპალური სოციალური პროგრამების შინაარსი - მუნიციპალურ დონეზე არსებული სოციალურ პროგრამები, ძირითადად, ატარებენ ერთჯერადი ფინანსური დახმარების ხასიათს და თითქმის არცერთი მათგანი არ ითვალისწინებს სოციალურ მომსახურებას; როგორც წესი ერთჯერად გასაცემლებს მნიშვნელოვანი ცვლილების გამოწვევა და ოჯახებისათვის გრძელვადიანი სარგებელის მოტანა არ შეუძლია. არსებული პროგრამების პირობებში, მწვავე სოციალური პრობლემები ადეკვატური რეაგირების გარეშე რჩება და არ იძლევა ოჯახების მდგომარეობის სასიკეთოდ ცვლილების შესაძლებლობას;

კვლევა, მონიტორინგი და შეფასება - პრობლემის მასშტაბების სრულფასოვანი კვლევა არ ხდება, არ არსებობს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემა, რომელიც გამოკვეთდა კონკრეტული სოციალური პრობლემის მასშტაბებსა და თავისებურებებს, რასაც შემდგომ დაეფუძნებოდა ახალი პროგრამები და პროგრამული პრიორიტეტები; ამასთან, სუსტია არსებული პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. პროგრამებით განსაზღვრული ინდიკატორებით რთულია შეფასებულ იქნას პროგრამის წარმატება და მიღწევები, ხოლო თავად მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები არ არის ნათელი;

თანამშრომლობისა და კოორდინაციის არსებული პრაქტიკა - უწყებებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის ნაკლებობა შეინიშნება სოციალური პროგრამების/მომსახურებების განვითარების მიმართულებით, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტსა და ცენტრალური ხელისუფლების ტერიტორიულ სამსახურებთან. არ არსებობს ნათელი სქემა და მექანიზმები კომუნიკაციისა და პასუხისმგებლობის გადანაწილების თვალსაზრისით;

სტრატეგიული დაგეგმარებისთვის გამოყენებულ იქნა ისეთი მეთოდოლოგიური მიდგომა და ანალიტიკური ინსტრუმენტი, როგორც არის „SWOT“ (Strengths, Weaknesses, Opportunities, Threats) ანალიზი. ამ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია არსებული მდგომარეობის, ძლიერი და სუსტი მხარეებისა და საფრთხეების იდენტიფიცირება. ანალიზი ეფუძნება თემის საჭიროებების შეფასების შედეგად გამოვლენილ საკითხებს.

<p style="text-align: center;">S - მლიერი მხარეები</p>	<ul style="list-style-type: none"> ✦ ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენელთა მაღალი ინტერესი, განსაზღვრონ საჭიროებები და შესაბამისად შეიმუშაონ და განახლონ სოციალური პროგრამები; ✦ მუნიციპალურ დონეზე სოციალური პროგრამების მიმართ გაზრდილი ინტერესი და ბიუჯეტის ზრდის დინამიკა ყოველწლიურად; ✦ სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის თანამშრომელთა გამოცდილება პროგრამების მიწოდებისა და ბენეფიციარებთან კომუნიკაციის კუთხით; ✦ შშმ პირების მხარდაჭერის კუთხით გადადგმული ნაბიჯები და არსებული პროგრამები თემში; ✦ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პოზიტიური გამოცდილება; ✦ თემში მომუშავე ადგილობრივი ორგანიზაციების ინტერესი სოციალური პოლიტიკისა და პროგრამების გაუმჯობესების მიმართულებით.
<p style="text-align: center;">W - სუსტი მხარეები</p>	<ul style="list-style-type: none"> ✦ გრძელვადიან შედეგზე გათვლილი პროგრამების არარსებობა; ✦ არსებული პროგრამების ეფექტიანობის შეფასებისა და ადგილზე თემის საჭიროებების განსაზღვრის მექანიზმების არარსებობა; ✦ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის სუსტი საკოორდინაციო მექანიზმები; ✦ ზუსტი სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობა, იმ ჯგუფების შესახებ რომლებიც შესაძლოა საჭიროებდნენ დახმარების მიღებას (შშმ პირები, მარტოხელა ხანდაზმულები, მარტოხელა და მრავალშვილიანი ოჯახები და სხვა); ✦ კერძო სექტორთან კომუნიკაციის არარსებობა; ✦ ფინანსური და ადამიანური კაპიტალის კუთხით შეზღუდული რესურსები.
<p style="text-align: center;">O - შესაძლებლობები</p>	<ul style="list-style-type: none"> ✦ სოციალური მუშაკის ინსტიტუტის დანერგვა მუნიციპალურ დონეზე, სოციალური მუშაობის შესახებ მიღებული კანონის გათვალისწინებით; ✦ კომუნიკაციის გაფართოება თემში მომუშავე კერძო სექტორის დაინტერესის გაზრდისათვის; ✦ საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წახალისება მუნიციპალური პროგრამების დანერგვა/განვითარების პროცესში მონაწილეობის კუთხით; ✦ საზოგადოების ჩართულობის გაზრდა მუნიციპალური პროგრამების შემუშავებისა და შეფასების პროცესში; ✦ განათლების სისტემის, სოციალური და ჯანდაცვის სამსახურებთან კოორდინაციის მექანიზმების გამლიერება; ✦ საპილოტე პროგრამების შექმნისა და გრძელვადიან ხედვაზე გადასვლის უკვე გამოკვეთილი საჭიროება; ✦ მსხვილი ბიზნეს ორგანიზაციის „ფერო“ ოპერირება ადგილზე.
<p style="text-align: center;">T - მოსალოდნელი საფრთხეები</p>	<ul style="list-style-type: none"> ✦ სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები (მათ შორის, არჩევნები), რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს სტრატეგიის განხორციელებაზე; ✦ მუნიციპალურ დონეზე შეცვლილი პრიორიტეტები და სხვა მწვავე საკითხების პრიორიტეტიზაცია; ✦ არასაკმარისო ადამიანური და მატერიალური რესურსით პროგრამების დანერგვის კუთხით შექმნილი სირთულეები; ✦ გარე პარტნიორების დაბალი ინტერესი ითანაშრომლონ მუნიციპალიტეტთან და მოახდინონ მოთხოვნილი სერვისების მიწოდება.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოციალური პოლიტიკის სტრატეგია (2020-2024)

სოციალური პოლიტიკის ხედვა/მისია

ძლიერი თემი, სადაც თითოეულ მცხოვრებს აქვს განვითარების თანასწორი შესაძლებლობები და უზრუნველყოფილია მათი სოციალური უფლებები. წინამდებარე სტრატეგიის მიზანია თემში განვითარდეს საჭიროებებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა და პროგრამები, რომელიც მიმართულია სოციალური უფლებების რეალიზაციაზე, მუნიციპალურ დონეზე სოციალური დაცვის გარანტიების შექმნასა და სოციალური რისკების პრევენციაზე.

სოციალური პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები და ამოცანები: იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტმა ეფექტურად უპასუხოს თემში არსებულ გამოწვევებს, გაზარდოს მის მიერ ადმინისტრირებული პროგრამების ხარისხი და შედეგების მდგრადობა, 2020-2024 წელს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები მიმართული იქნება შემდეგი მიზნების მიღწევისაკენ:

სტრატეგიული მიმართულება 1. მუნიციპალური სოციალური პროგრამების განვითარება სტრატეგიული მიზანი 1. საჭიროებებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სოციალური პროგრამების განვითარება მუნიციპალურ დონეზე

- **ამოცანა 1.1.** შინ მოვლის მომსახურების განვითარება სხვადასხვა შესაბამისი საჭიროების სამიზნე ჯგუფებისთვის (მაგ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირები და ხანდაზმულები);
- **ამოცანა 1.2.** ოჯახების გაძლიერებისთვის ეკონომიკური მხარდაჭერის მომსახურების განვითარება, აქცენტით ქალთა და ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებაზე;
- **ამოცანა 1.3.** კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ან ქრონიკულ სიღარიბეში მცხოვრები ოჯახების (განსაკუთრებით ბავშვიანი ოჯახების) მხარდაჭერი პროგრამების განვითარება (მათ შორის მშობელთა განათლება და გადაუდებელი დახმარების ფონდი);
- **ამოცანა 1.4.** შეზღუდული შესაძლებლობებისა და აუტისტური სპექტრის მქონე პირთა დიაგნოსტიკისა და რეაბილიტაციაზე მიმართული პროგრამების განვითარება/მხარდაჭერა;
- **ამოცანა 1.5.** საცხოვრებლის არ მქონე ანდა მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში მცხოვრები ოჯახების მხარდაჭერა, არსებული საბინაო პოლიტიკის გადახედვა. შეზღუდული რესურსის პირობებში, ოჯახთა მოწყვლადობის გათვალისწინება.
- **ამოცანა 1.6.** სოციალური რისკების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებისა და პრევენციის მიზნებისთვის, სოციალური მუშაობის ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერა მუნიციპალურ დონეზე, სოციალური მუშაობის კანონის შესაბამისად.

სტრატეგიული მიმართულება 2. მუნიციპალური სოციალური პროგრამების მართვა
სტრატეგიული მიზანი 2. სოციალური პროგრამების ადმინისტრირების გაუმჯობესება
მუნიციპალურ დონეზე.

- **ამოცანა 2.1.** მუნიციპალური სოციალური პროგრამების ეტაპობრივი გადასვლის უზრუნველყოფა საჭიროებებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სოციალურ მომსახურებებზე, ნაცვლად ერთჯერადი ანდა მრავალჯერადი მატერიალური დახმარებებისა;
- **ამოცანა 2.2.** მუნიციპალური სოციალური პროგრამებისა მართვისა და ადმინისტრირების სისტემის გაუმჯობესება, მათ შორის სტანდარტული ოპერაციული პროცედურებისა (სოპ) და სხვა შესაბამისი გზამკვლევებისა და ინსტრუმენტების განვითარების გზით (მაგ. ოჯახების მოწყვლადობის განმსაზღვრელი ინსტრუმენტები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები);
- **ამოცანა 2.3.** მუნიციპალური სოციალურ პროგრამების განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსის პროფესიული შესაძლებლობების შეფასება, გაძლიერება და მათი უწყვეტი განათლების უზრუნველყოფა;
- **ამოცანა 2.4.** განახლებადი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებისა და მართვის მოქნილი სისტემის განვითარება, ამასთან კვლევებისა და ანალიზის მიმართულების გაძლიერება;
- **ამოცანა 2.5.** მუნიციპალური სოციალური მომსახურებების შესაბამისი გამოცდილების მქონე ორგანიზაციებისგან, ღია ტენდერისა და ხელშეკრულების წესით (იგივე „აუთსორსინგის“), შესყიდვის პრაქტიკის განვითარება, მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარჯთ-ეფექტიანობის მიზნით.

სტრატეგიული მიმართულება 3. სექტორთა შორის კოორდინაცია და თანამშრომლობა
სტრატეგიული მიზანი 3. სექტორთა და უწყებათშორისი კოორდინაციისა და თანამშრომლობის მექანიზმების გაძლიერება მუნიციპალურ დონეზე

- **ამოცანა 3.1.** მუნიციპალურ დონეზე სოციალური პოლიტიკის განვითარებისა და განხორციელების მიზნით კოორდინაციისა და თანამშრომლობის ფორმალური და ნათლად სტრუქტურირებული მექანიზმების გაწერა;
- **ამოცანა 3.2.** მუნიციპალურ დონეზე ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების ადგილობრივი წარმომადგენლობების (მაგ. სოციალური მომსახურების სააგენტო, საგანმანათლებლო რესურს ცენტრი), საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ბიზნეს სექტორს შორის სისტემური დიალოგის ხელშეწყობა.

სტრატეგიის შესრულების სამოქმედო გეგმა (2020)

N	აქტივობები	შესრულების ვადები (კვარტალურად)		
სტრატეგიული მიმართულება 1. მუნიციპალური სოციალური პროგრამების განვითარება				
სტრატეგიული მიზანი 1. საჭიროებებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სოციალური პროგრამების განვითარება მუნიციპალურ დონეზე				
N	აქტივობა/ები	I კვ.	II კვ.	III კვ.
1.1.	შინ მოვლის პროგრამის დამუშავება, განვითარება და პილოტირება მუნიციპალურ დონეზე			
1.2.	აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა დიაგნოსტიკისა და რეაბილიტაციის პროგრამის ინტეგრირება ჯანმრთელობის პროგრამაში			
1.3.	ოჯახების ეკონომიკური მხარდაჭერის მოდელის ¹ პილოტირება მუნიციპალურ დონეზე			
1.4.	სოციალური მუშაობის ინსტიტუტის განვითარება და გაძლიერება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დონეზე, სოციალური მუშაობის კანონის შესაბამისად			
სტრატეგიული მიმართულება 2. მუნიციპალური სოციალური პროგრამების მართვა				
სტრატეგიული მიზანი 2. სოციალური პროგრამების ადმინისტრირების გაუმჯობესება მუნიციპალურ დონეზე				
2.1.	წინამდებარე სოციალური პოლიტიკის დოკუმენტისა და პროექტის ფარგლებში მომზადებული სოციალური პროგრამების დამტკიცება საკარებულოს მიერ	შენიშვნა: ვადა - 2019 წლის დეკემბერი		
2.2.	სოციალური პროგრამების განახლების და განვითარების კონცეფციის შემუშავება, რომელიც ეფუძნება საჭიროებათა კვლევასა და წინამდებარე სტრატეგიას			
2.3.	მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ოჯახების იდენტიფიცირების ინსტრუმენტის განვითარება და პილოტირება ² , შესაბამისი გამოცდილების მქონე ორგანიზაციებთან თანამშრომლობით			
2.4.	სოციალური პროგრამების შეფასებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტის განვითარება			
სტრატეგიული მიმართულება 3. კოორდინაცია და თანამშრომლობა				
სტრატეგიული მიზანი 3. სექტორთა და უწყებათშორისი კოორდინაციისა და თანამშრომლობის მექანიზმების გაძლიერება მუნიციპალურ დონეზე				
3.1.	უწყებათშორისი და სექტორთაშორისი თანამშრომლობის მექანიზმის გაწერა, რომელიც მოიცავს თანამშრომლობის ფორმალურ ფორმატს და ნათლად განსაზღვრულ პასუხისმგებლობებს			
3.2.	საკოორდინაციო გეგმიური შეხვედრების უზურუნველყოფა ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის განვითარების მიზნით და მწვავე სოციალურ საკითხებზე საპასუხოდ			

¹ სამივე პროგრამის კონცეფცია მომზადებულია პროექტის ფარგლებში

² ბმავია სოციალური მუშაობის ინსტიტუტის განვითარებასთან და უნდა განხორციელდეს ამ თემის პარალელურად.

დასკვნა

წინამდებარე სტრატეგიის წარმატებულად განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მომზადდეს სრულყოფილი სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებშიც გაიწერება კონკრეტული სტრატეგიული ამოცანების საპასუხო აქტივობები, პასუხისმგებელი უწყებებისა და დროითი ჩარჩოს მითითებით. ამასთან, მნიშვნელოვანია თითოეულ აქტივობასთან მიმართებით მოხდეს განფასება და მიეთითოს მათი შესრულებისათვის საჭირო თანხის ოდენობა. სტრატეგიითა და შემდგომ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პროგრამების და მომსახურებები განვითარება უნდა განხორციელდეს საპილოტე რეჟიმში და უნდა დაინერგოს ის მომსახურებები, რომელთა ეფექტურობაც დადასტურდება შესაბამისი შეფასებით. პროცესში უზრუნველყოფილ უნდა იქნას მომსახურების მიმწოდებელთა, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციათა და სხვა დაინტერესებული მხარეების, მათ შორის მომსახურების მიმღებთა თანამონაწილეობა.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, რაც სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, რადგან მიღწეული შედეგების შეფასებისა და ანალიზის საშუალებას იძლევა. შესაბამისად, დეტალურ სამოქმედო გეგმასთან ერთად უნდა განვითარდეს მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, ინდიკატორებზე დაფუძნებით, რაც სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების, მათი განხორციელების პროცესში წამოჭრილი სირთულეებისა და გამოწვევების გამოვლენის გარდა, მუნიციპალიტეტს დაეხმარება სამოქმედო გეგმაში საჭირო ცვლილებების იდენტიფიცირებაში. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდული მონიტორინგი და შეფასება უზრუნველყოფს მიღებული შედეგების მიზნებთან შესაბამისობის დროულად დადგენასა და განსახორციელებელი ცვლილებების გამოვლენას.

მუნიციპალიტეტს, შიდა მიზნებისათვის შეუძლია მოამზადოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშიც ყოველი წლის ბოლოს, სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მიღწევისა და ხარისხის გამოსავლენად. დოკუმენტი შესაძლოა შესაძლოა განხილულ იქნას ადგილზე არსებულ საბჭოებსა და საკრებულოს დონეზე.